ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს-საფინანსო საბიუჯეტო

კომისიის ანგარიში გაწეული მუშაობის შესახებ

(საანგარიშო პერიოდი მოიცავს 2024 წლის სექტემბრიდან დღემდე
პერიოდს)

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს-საფინანსო საბიუჯეტო კომისია მუშაობას ახორციელებს ადგილობრივი თვითმართველობის კოდექსით, საბიუჯეტო კოდექსით, აგრეთვე ხელმძღვანელობს ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტითა და საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის დებულებით.

კომისიის შემადგენლობა განისაზღვრება 12 კაცით.

1.პავლე კიკალიშვილი - კომისიის თავმჯდომარე

2.პაატა გოგოლაძე

3.ოთარ ლურსმანაშვილი

4.ეკატერინე შველიძე

5.ნონა ზურაბიანი

6.ამირან ოქრომჭედელიძე

7.ლენა აბაშიძე

8.შმაგი ხიჯაკაძე

9.თორნიკე ავალიშვილი

10.კობა გოქსაძე

11.ინგა მაღრაძე

12.კონსტანტინე ბერაძე

საანგარიშო პერიოდში სულ ჩატარდა 12 სხდომა როგორც რიგგარეშე, ასევე მორიგი სხდომები.

საქართველოს კანონმდებლობით ბიუჯეტი წარმოადგენს მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ დამტკიცებულ,

მუნიციპალიტეტის ფუნქციების და ვალდებულელების შესრულების მიზნით მისაღები შემოსულობების, გასაწევი გადასახადებისა და ნაშთის ცვლილებების ერთობლიობას.

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტი განისაზღვრებოდა შემოსულობების ნაწილში 13 433 700 ლარით, წლის განმავლობაში განხორცილებული საბიუჯეტო ცვლილებების შედეგად ბიუჯეტი შემოსულობების ნაწილში გაიზარდა 16 533 900 ლარით და განისაზღვრებოდა 29 767 600 ლარით. ზრდა განხორციელდა სახელმწიფო ბიუჯეტის ფონიდან გამოყოფილი ტრანსფერის ხარჯზე 13 697 900 ლარით და საკუთარი შემოსავლების ხარჯზე 2836600 ლარით, მ.შ. ქონების გადასახადისა და ჯარიმების ხარჯზე.

ფაქტიურად, 2024 წელს ხარაგაულის მუნიციპალიტეტმა მიიღო 32 886 900 ლარის შემოსულობები. შემოსულობების გეგმა შესრულდა 109,7% -ით. გეგმის ზევით მობილიზებულია 2 919 300 ლარი. 2024 წელში წინა წელთან შედარებით მიღებულია 8 147 500 ლარით მეტი შემოსულობები. 2024 წლის პირველი იანვრისთვის ნაშთი შეადგენდა 296 5800 ლარს. საიდანაც 2024 წლის ხარჯების დასაფინანსებლად გამოყენებული იქნა 2879000 ლარი. ხოლო 2024 წლის ბოლოს დაგროვებული ნაშთი განისაზღვრა 5 904300 ლარით. შემოსულობების სახეების მიხედვით, ყველაზე მეტი შემოსავალი მიღებულია გადასახადებიდან და შეადგენს 15 909 100 ლარს. მთელი შემოსულობების 48% გადასასახები დადგეგმილი 13 758600 ლარის ნაცვლად შემოსულია 15909 100 ლარი. გადასახადების 2024 წლის გეგმა შესრულებულია 115,6% -ით. გეგმის ზევით მობილიზებულია 2 150500 ლარი, წინა წელთან შედარებთ 5705 300 ლარით მეტი. ქონების გადასახადიდან 4 400 000 ლარის მაგიერ მიღებულია 6334700 ლარი. უცხოურ საწარმოთა ქონების გად. 563100 ლარი.

დ.ღ.გ. დაგეგმილი 9358600 ლარიდან მიღებულია 9574500 ლარი. დაგეგმილზე 215900 ლარით მეტი.

მიზნობრივი ტრანსფერი დელეგირებული უფლებამოსილების განსახორციელებლად 198400 ლარი. სკოლების მოსწავლეთა ტრანსპორტირებისთვის 1069000 ლარი.

მაღალმთიანი განვითარების ფონდიდან გამოყოფილი 907800 ლარი სპეც ტრანსფერის სტიქიის მიყენებული ზარალის ასანაზღაურებლად 15 99 200 ლარი.

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის გადასახდელები დამტკიცებული ბიუჯეტით განისაზღრებოდა 14 928500 ლარით.

წლის განმავლობაში განხორციელებული საბიუჯეტო ცვლილებების შედეგად მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი გადასახდელების ნაწილში გაიზარდა 17918100 ლარით და განისაზღვრა 32 846 600 ლარით. ფაქტიურად, დაფდინანსდა 91,2% ხარჯები. წინა წელთან შედარებით 6408300 ლარით მეტი ხარჯები იქნა გაწეული.

2024 წელს არ შესრულდა გეგმა არაფინასური აქტივების კლების. დაზუსტებული გეგმა იყო 20 0000 ლარი შესრულდა გეგმა 15,2% (30,4 ლარი).

ხარაგაულის მუნიციპალიტეტისათვის მთავარ პრიორიტეტს ინფრასტრუქტურის განვითარება - პროგრამული კოდი 02 00 წარმოადგენს, 2024 წელს აღნიშნულ პრიორიტეტზე გათვალისწინებული იყო 15 596,8 ათასი ლარის დახარჯვა, ფაქტიურად დახარჯულია 13 669,3 ათასი ლარი, გეგმა შესრულებულია 87,6-ით და წინა 2023 წელთან შედარებით გაწეულია 4 286,9 ათასი ლარით მეტი.

საბიუჯეტო თანხები დახარჯულია ძირითადად შემდეგ პროექტებზე: გზების მიმდინარე შეკეთება, საგზაო ნიშნები და უსაფრთხოება, ხიდების რეაბილიტაცია, საზოგადოებრივი ტრანსპორტით მომსახურეობა, წყლის სისტემის განვითარება, სანიაღვრე არხების მოწყობა, ნაპირსამაგრების მოწყობა, გარე განათების მოწყობა, მრავალბინიანი სახლების რეაბილიტაცია, სოფლის მხარდამჭერი პროგრამა.

დასუფთავება და ნარჩენების გატანა დაფინანსებულია 95 %-ით და გასული წლის მაჩვებელს აღემატება 434,9 ათასი ლარით. მწვანე ნარგავების მოვლა-პატრონობა, უპატრონო ცხოველების მოვლა პატრონობა.

განათლება პროგრამული კოდით - 04 00. დაფინანსდა 98,4 %-ით. გასულ წელთან შედარებით ხარჯები გაზრდილია 230,4 ათასი ლარით.

მიზანია მუნიციპალიტეტში მცხოვრები სასკოლო ასაკისა და სკოლის ასაკის ბავშვთა განათლებაზე ხელმისაწვდომობის გაზრდა, საბავშვო ბაღის აღსაზრდელთათვის დადგენილი სტანდარტებით კვებაზე და განათლებაზე ხელმისაწვდომობა. სკოლის მოსწავლეთათვის ტრანსპორტით უზრუნველყოფა.

კულტურა, რელიგია, სპორტულ და ახალგაზრდულ ღონისძიებებზე დაფინანსება 88,3%. წინა წელთან შედარებით დახარჯულია 162,1 ათასი ლარით მეტი.

მოქალაქეთა ჩართულობისა და ინფორმირების ხელშეწყობის პროგრამა - დაფინანსდა 94, 4000 ლარით.

მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა ამ მიმართულებით მოქმედებს 22 ქვეპროგრამა. მათ შორის ორი ქვეპროგრამა მოიცავს ჯანმრთელობის დაცვას. დაფინანსდა. წელთან შედარებით დაიხარჯა 931,8 ათასი ლარით მეტი. დაგეგმილი 3 256 800 ლარიდან 3 032 800 ლარი მოხმარდა ამ პროგრამებს.

სოციალურ დაცვის პროგრამაზე გათვალისწინებული 1 705,7 ათასი ლარი გაიზარდა 1 288,6 ათასი ლარით და განისაზღვრა 2 988,4 ათასი ლარით. ათვისებული იქნა 92,6 %.

59,7 ათასი ლარი მერიის სარეზერვო ფონდიდან.

საფინანსო-საბიუჯეტო კომისიამ საანგარიშო პერიოდში განიხილა 5 საბიუჯეტო ცვლილება, რაც გამოწვეული იყო მთავრობის განკარგულება საფუძველზე მუნიციპალიტეტში ინფრასტრუქტური და სოციალური პროგრამების მაღალი და ხარისხიან დონეზე განსახორციელებლად.

საფინანსო - საბიუჯეტო კომისიამ ვადების დაცვით და შენიშვნებით დაამტკიცა 2025 წლის ხარაგაულის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი. ამავე დასკვნაში განვიხილოთ 2025 წლის ბიუჯეტის ზოგადი პარამეტრები და შემდეგ დაწვრილებით გავამახვილოთ ყურადღება დეპუტატების გამოთქმულ და წერილობით წარმოდგენილ შენიშვნებზე.

2025 წლის ბიუჯეტი დაგეგმილია შემდეგი მაკროეკონომიკური პარამეტრების მიხედვით:

- რეალური ეკონომიკური ზრდა დაგეგმილია 6,0 %-ის ოდენობით, ხოლო საშუალოვადიან პერიოდში რეალური ეკონომიკური ზრდის პროგნოზი 5,2 %-ს შეადგენს;

- მშპ-ს პროგნოზი 3%-ს შეადგენს და იგივე მაჩვენებელი შენარჩუნებულია მომდევნო წლებშიც;

წარმოდგენილ ბიუჯეტში პირველ ვარიანტთან შედარებით გაზრდილია შემოსულობების ნაწილში 1 176,7 ათასი ლარით და 18 292,2 ათასი ლარის ნაცვლად შეადგენს 19 468,9 ათას ლარს. შემოსულობების ზრდის წყაროა ფისკალური პროგნოზების შედეგად გაზრდილი პარამეტრები. საგადასახადო შემოსავლები გაიზარდა 1176,7 ათასი ლარით. დ.ღ.გ 776 700 ლარით და ქონების გადასახადი 400,0 თასი ლარით.

საკრებულოს მიერ გამოგზავნილი რეკომენდაციებისა და მერიის ინიციატივით 2025 წლის ბიუჯეტი საკუთარი საბიუჯეტო სახსრებით ხარჯვით ნაწილში გაზრდილია 692 000 ლარით და განისაზღვრა 19 984 200 ლარით. ხარჯები იზრდება ძირითადად ინფრასტრუქტურის და სოციალური პროგრამების ნაწილში.

შემოსავლები 2025 წელში შეადგენს 17 208,900 ლარს. 2024 წელთან შედარებით შემოსავლების იზრდება 5950000 ლარით ე. ი. (25.1 %-ით).

შენიშვნა: საკრებულოს რეკომენდაციები და შენიშვნები იქნება ქვემოთ მოყვანილი და გაანალიზებული.

დ.ღ.გ განისაზღვრა საპროგნოზო მაჩვენებელი 11 008 900 ლარით; წინა წელთან შედარებით დღგ გაზრდილია 17.6 %-ით 1 650 300 ლარით.

ქონების გადასახადის საპროგნოზო მაჩვენებელი წინა წელთან შედარებით 4400 000 ლარი იზრდება 1800000 ლარით 40,9%.

ძირითადი გადამხდელები არიან ჩინეთის გზებისა და ხიდების კორპორაციისა და შპს ჰუნანის გზებისა და ხიდების სამშენებლო ჯგუფის საქართველოს ფილიალები.

სხვა შემოსავლების სახით 2025 წელს იგეგმება 2 180,0 ლარი:

შემოსავლები საკუთრებიდან 275 000 ათასი ლარი. პროცენტებიდან შემოსავალი 150 000 ლარი, მოსაკრებელი ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისთვის - 75 000 ლარი; შემოსავალი მიწის იჯარიდან 50 000 ლარი.

შემოსავლები საქონელისა და მომსახურების რეალიზაციიდან 100 000 ლარი. მათ შორის: სანებართვო მოსაკრებლები 5,0 ათასი ლარი; დასახლებული ტერიტორიის დასუფთავება 95,0 ათასი ლარი.

არაფინანსური აქტივების კლება 80 000 ლარი შესრულებადია.

სულ შემოსულობები შეადგენს 19 4689 00 ლარს. სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი სახსრების გარეშე. 2025 წლის შემოსავლების ყველა სახეში გეგმები არის გაზრდილი.

გადასახდელები შეადგენს 19 984,2 ათას ლარს. 2024 წელთან შედარებით გაზრდილია 5 234,1 ათასი ლარით (დამტკიცებული) 2 398100 ლარით - დაზუსტებული.

დამტკიცებულ გეგმასთან შედარებით გეგმა გაზრდილია 2 836,0 ათასი ლარით.

1. ინფრასტრუქტურის განვითარება - 2 312,4 ათასი ლარი. ინფრასტრუქტურის პრიორიტეტი გაზრდილია 357,0 ათასი ლარით პირველ ვარიანტთან შედარებით. გაზრდილია ყველა პრიორიტეტში შემავალი პროგრამის დაფინანსება.

2. წყლის სისტემა- 230,0 ათასი ლარი; გაზრდილია 30,0 ათასი ლარით.

3. გარე განათება - 402 000 ლარი - გაზრდილია 100 000 ლარით;

4. მრავალბინიანი სახლების რეაბილიტაცია - 100,0 ათასი ლარი; რეკომენდაციების გათვალისწინებით გაიზარდა 40,0 ათასი ლარით.

5. კეთილმოწყობა - 130 000 ლარით;

6. სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში განსახორციელებელი - 200 400 ლარით. თანასაფინანსებისთვის 37 000ლარით გაიზარდა.

7. დასუფთავება და გარემოს დაცვა - 2 221,9 ათასი ლარით. გაიზარდა 50,0 ათასი ლარით.

8. დასუფთავება და ნარჩენების გატანა - 1 941,4 ათასი ლარი

9. მწვანე ნარგავების მოვლა-პატრონობა, განვითარება - 265,5 ათასი ლარი

10. უპატრონო ცხოველების მოვლითი ღონისძიებები - 15,0 ათასი ლარი. გადაყვანა დროებით თავშესაფარში . მათი მკურნალობა, სტერილიზაცია.

11. განათლება - 3 524,9 ათასი ლარი. წინა წელს აღემატება საგეგმო მაჩვენებელს 710,8 ათასი ლარით.

12. სკოლამდელი დაწესებულებების ფუნქციონირება -3 120,0 ათასი ლარი; წინა წელთან შედარებით გაზრდილია 670,0 ათასი ლარით.

13. ზოგადი განათლების ხელშეწყობა (პანსიონური მომსახურება) – 141,9 ათასი ლარი.

14. მოსწავლეთა სახლი - 258000 ლარი.

15. კულტურა, ახალგაზრდობა და სპორტი 2998 100 ლარი. რეკომენდაციების გათვალისწინებით პრიორიტეტი გაიზარდა 80,0 ათასი ლარით. წინა წლის ბიუჯეტს ამ სეგმენტში აღემატება 7 77 000 ლარი.

16. სპორტის განვითარების ხელშეწყობა - 1 070,0 ათასი ლარი;

17. კულტურის სფეროს განვითარება - 1 713,1 ათასი ლარი.

18. მოქალაქეთა ჩართულობისა და ინფორმირების ხელშეწყობა -105,0 ათასი ლარი

19. რელიგიის დაფინანსება 80,0 ათასი ლარი;

20. ახალგაზრდობის მხარდაჭერა - 30,0 ათასი ლარი.

21. ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა - 2 949,2 ათასი ლარი

22. საზოგადოებრივი ჯანმრთელობისა და უსაფრთხო გარემოს უზრუნველყოფა - 288,9 ათასი ლარი.

სოციალური დაცვა - 2 655,3 ათასი ლარი. საკრებულოს რეკომენდაციებითა და მერიის ინიციატივით გაიზარდა 185,0 ათასი ლარით. გასულ წელთან შედარებით სოციალურ დაცვაზე 949,6 ათასი ლარით მეტია დაგეგმილი. აღნიშნული პროგრამა არის მზარდი, 2025 წელში კვლავ მოიმატებს, მათ შორის სარეზერვო ფონდის ხარჯზე. წინა წელს შეადგენდა 1 705,7 ათას ლარს.

N	პროგრამული კოდი	ხარჯის დანიშნულება	თანხა ლარებში
1	06 03 01	სოფ. უჩამეთში მცხოვრები მოქალაქის სამედიცინო მომსახურეობის დასაფინანსებლად.	3000
2	06 03 17	დაბა ხარაგაულში მცხოვრები მოქალაქეების დასახმარებლად	3000
3	06 03 04	სოფ. ვარძიაში მცხოვრები მოქალაქის სამედიცინო მომსახურეობის დასაფინანსებლად.	1500
4	06 03 01	დაბა ხარაგაულში და სოფელ ქროლში მცხოვრები მოქალაქეების სამედიცინო მომსახურეობის დასაფინანსებლად.	2000

5	06 03 04	ერთჯერადი ფინანსური დახმარება სოფ. მარელისში მცხოვრები მოქალაქისათვის	6000
6	06 03 04	რთული მეტეოროლოგიური პირობების გამო შექმნილი მდგომარეობაში მყოფი მოქალაქეების დახმარების მიზნით	40000
7	06 03 01	დაბა ხარაგაულში მცხოვრები მოქალაქის სამადიცინო მომსახურების დაფინანსების მიზნით	2000
8	06 03 17	სოფ. ბჟინევში მცხოვრები მოქალაქის დასახმარებლად	5000
9	06 03 01	სოფ. ღორეშაში მცხოვრები მოქალაქის ოპერაციის ხარჯების დასაფინანსებლად.	5000
10	06 03 01	სოფ.გრიგალათში და სოფ. მარელისში მცხოვრები მოქალაქეების სამედიცინო მომსახურეობის დასაფინანსებლად.	3198
11	06 03 01	სოფ. ზედუბანში და სოფ.სერბაისში მცხოვრები მოქალაქეების სამედიცინო მომსახურეობის დასაფინანსებლად.	6000
12	06 03 01	სოფ. ჩხერში და სოფ.კიცხში მცხოვრები მოქალაქეების სამედიცინო მომსახურეობის დასაფინანსებლად	4000
13	06 03 01	სოფ. მარელისში მცხოვრები მოქალაქის სამადიცინო მომსახურების დაფინანსების მიზნით	1400
14	06 03 01	სოფ. ვერტყვიჭალაში მცხოვრები მოქალაქის სამადიცინო მომსახურების დაფინანსების მიზნით	1520
15	06 03 01	სოფ. კიცხში მცხოვრები მოქალაქის სამადიცინო მომსახურების დაფინანსების მიზნით	2000
16	06 03 03	დაბა ხარაგაულში მცხოვრები მოქალაქის თერაპიის მიზნით	2000
17	06 03 17	სოფ. ნადაბურში მცხოვრები მოქალაქის დასახმარებლად	5000
18	06 03 17	სოფ. ხემაღალში და სოფ. ღვერკში განვითარებული მეწყრული პროცესების გამო მოქალაქეთა დახმარების მიზნით	4000
19	06 03 04	ერთჯერადი ფინანსური დახმარება დაბა ხარაგაულში მცხოვრები მოქალაქისათვის	4000
20	06 03 04	ერთჯერადი ფინანსური დახმარება სოფ. თეთრაწყაროში მცხოვრები მოქალაქისათვის	500

21	06 03 01	დაბა ხარაგაულში მცხოვრები მოქალაქის სამადიცინო მომსახურების დაფინანსების მიზნით	3000
22	06 03 17	მეწყრული პროცესების გამო მოქალაქეთა დახმარების მიზნით	500
23	06 03 17	სოფ. ხემაღალში და სოფ. ღვერკში განვითარებული მეწყრული პროცესების გამო მოქალაქეთა დახმარების მიზნით	13800
24	06 03 17	მეწყრული პროცესების გამო მოქალაქეთა დახმარების მიზნით	2500
25	06 03 01	სოფ. ხუნევში მცხოვრები მოქალაქის სამადიცინო მომსახურების დაფინანსების მიზნით	1006
25	06 03 17	სტიქიის შედეგად დაზარალებული მოქალაქეთა დასახმარებლად	2700
26	06 03 17	მეწყრული პროცესების გამო მოქალაქეთა დახმარების მიზნით	2200
27	06 03 17	მეწყრული პროცესების გამო მოქალაქეთა დახმარების მიზნით	27000
20	01 02 01	სარეზერვო ფონდში თანხის დაბრუნება	-14510.4
			139313.6

გასანაწილებელია 30 680 ლარი დღეის მდგომარეობით.

2025 წელს გათვალისწინებულია შემდეგი სოციალური პროგრამები:

სამკურნალო და საოპერაციო ხარჯებით დახმარების პროგრამა -500, 0 ათ. ლარი,

 შშმ პირთა დახმარების პროგრამა-90,0 ათ, ლარი,

ერთჯერადი ფინანსური დახმარება - 1000,0 ათ, ლარ.

ლეიკემიით დაავად. და დიალიზზე მყოფი პირების დახმარება- 43,0 ათ, ლარი

მრავალშვილიანი ოჯახების დახმარების ქვეპროგრამა- 45,0 ათ, ლარი

მარტოხელა მშობლების დახმარების პროგრამა - 24,0 ათ, ლარი,

მარჩენალდაკარგულთა დახმარება - 60,0 ათასი ლარი;

ყოველთვიური დახმარების პროგრამა- 80.0 ათ, ლარი.

საქართველოს ტერიტ.მთლ. ომში დაღუპულთა დახმ. პროგრამა-9,0 ათ, ლარი

ხანდაზმულთა დახმარების პროგრამა- 4,0 ათ, ლარი,

სადღესასწაულო დღეების დახმარება - 100,0 ათ, ლარი

სოც. დაუცველ და უპატრონო მიცვალ. სარიტ. მომსახ. პროგრამა -20.0 ათ, ლარი

უკიდურესად გაჭირვ. ოჯახების სათბობი მასალით დახმ. სპროგრამა- 20,0 ათ, ლარი

ახალშობილთა ოჯახების დახმარების ქვეპროგრამა- 24,0 ათ, ლარი

გარდაცვლილი დევნილის ან ვეტერანის დაკრძალვა- 1.0 ათ, ლარი

სტიქიის შედეგად დაზარალებული და/ან მძიმე საცხოვრებელი პირობების მქონე ოჯახების დახმარება, უსახლკაროთა და ძალადობის მსხვერპლთა ბინის ქირით უზრუნველყოფა- 180, ათასი ლარი.

უფასო სასადილო- 281,3ათ, ლარი

სოციალური დაცვის ობიექტების რეაბილიტაცია და ინვენტარით უზრუნველყოფა (საგრანტო პროექტების ხელშეწყობა) -80,0 ათასი ლარი.

გადაუდებელი რეაგირების პროგრამა - 30,0 ათასი ლარი

ომისა და სამხედრო ძალების ვეტერანთა დახმარება - 25,0 ათასი ლარი;

არასრულწლოვანთა მხარდაჭერა და **„პოზიტიური მშობლობის“** პროგრამა - 44,0 ათასი ლარი.

პერსონალური ასისტენტის მომსახურება - 100,0 ათასი ლარი.

6) მმართველობა - 6 176,1 ათასი ლარი, მათ შორის:

საკრებულოს დაფინანსება - 1 323,8 ათასი ლარი;

მერია - 4 522,3 ათასი ლარი;

კადრების მომზადება გადამზადებასთან დაკავშირებული ხარჯები - 30,0 ათასი ლარი;

სარეზერვო ფონდი - 120,0 ათასი ლარი;

სსიპ მუნიციპალური განვითარების ფონდისთვის დასაფარავის თანხა და ვალის მომსახურება 75,0 ლარი.

წინა პერიოდში წარმოქმნილი ვალდებულებების დაფარვა და სასამართლოს აღსრულების ფინანსური უზრუნველყოფა - 100,0 ათ. ლარი.

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის თვითმმართველი ერთეულის 2025 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 17 დეკემბრის N 25 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ

1. საქართველოს მთავრობის 2024 წლის 31 დეკემბრის N 1955 განკარგულებით ხარაგაულის მუნიციპალიტეტს საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან გზების რეაბილიტაციისათვის გამოეყო 6 119 072 დანართი N 1.

2. წინა წლებში აღებული ვალდებულებების დასაფარავად სახელმწიფო ბიუჯეტის სახსრების ნაშთებიდან, საქართველოს მთავრობის სხვადასხვა განკარგულებებით, ინფრასტრუქტურის განვითარებაზე მიიმართოს 1 425 428, 42ლარი, მათ შორის:

3. საქართველოს მთავრობის 2024 წლის 28/12 N 2402 განკარგულებით საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდების დარჩენილი ნაშთი 263 602,25 ლარი მიმართული იქნას გზების რეაბილიტაციის ხარჯებში;

4. საქართველოს მთავრობის 2024 წლის 28/12 N 2401 განკარგულებით საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან

სოფლის მხარდამჭერი პროგრამის განსახორციელებლად დარჩენილი ნაშთი შეადგენს 20 661,06 ლარს.

5. საქართველოს მთავრობის 2024 წლის 28/12 N 2400 განკარგულებით სტიქიის შედეგების სალიკვიდაციოდ დარჩენილი ნაშთი შეადგენს 426 269,05 ლარს, აქედან: გზების რეაბილიტაციის ხარჯებში მიმართული იქნას 308 304 ლარი (სტიქიისაგან დაზიანებული სოფელ ნუნისის და ჩრდილის გზები; სოფ. ბაზალეთში გზის საყრდენი კედელი) ; ხიდების და ხიდ ბოგირების რეაბილიტაციის ხარჯებში 77 691 ლარი (სოფ. ჩალხაეთში სტიქიისაგან დაზიანებული ბონდის ხიდის აღდგენა, სოფელ ღორეშაში კვადოურის უბნის ხიდ ბოგირის მოწყობა); მრავალბინიანი სახლების რეაბილიტაციის ხარჯებში 40 274 ლარი(სოფელ მოლითში სტიქიის შედეგად დაზიანებული მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის სახურავის გადახურვა).

6. საქართველოს მთავრობის 2024 წლის 26/04 N 615 განკარგულების დარჩენილი ნაშთი 87 960 ლარი მიმართული იქნას ხიდების და ხიდ ბოგირების რეაბილიტაციის ხარჯებში (სოფ. დეისში ხიდის შეკეთება და სოფ ზედუბანში ხიდის მოწყობა)

7. საქართველოს მთავრობის 2024 წლის 23/07 N 1025 განკარგულებით მუნიციპალიტეტს ,,მოქალაქეთა ჩართულობის განვითარების ხელშეწყობის მიზნით გამოყოფილი სახსრების დარჩენილი ნაშთი

30 979,55 ლარი მიმართული იქნას გზების მიმდინარე შეკეთების ხარჯებში ა/ერთეულებში საუბნო გზების შესაკეთებლად.

8. საქართველოს მთავრობის 2024 წლის 19/04 N 550 განკარგულებით მაღალმთიანი რეგიონების განვითარების ფონდის დარჩენილი ნაშთი 10 000 ლარი (5%) მიმართული იქნას გზების რეაბილიტაციის ხარჯებში (სოფ. წიფის გზის რეაბილიტაცია)

9. საქართველოს მთავრობის 2024 წლის 30/05 N 746 განკარგულებით საჯარო ფინანსების მართვისათვის გამოყოფილი გრანტიდან დარჩენილი ნაშთი 487 471 ლარი მიმართული იქნას გზების რეაბილიტაციის ხარჯებში.

10. საქართველოს მთავრობის 2023 წლის 20/01 N 116 განკარგულებით სტიქიის შედეგების სალიკვიდაციოდ გამოყოფილი სახსრების ნაშთი 80 485, 18 ლარი მიმართული იქნას გზების რეაბილიტაციის ხარჯებში სოფელ ლეღვანში გზის საყრდენი კედლის მოწყობაზე.

11. საქართველოს მთავრობის 2022 წლის 29/12 N 2476 განკარგულებით სოფლის მხარდამჭერი პროგრამის ფარგლებში გამოყოფილი სახსრების ნაშთიდან 18 000,33 ლარი.

12. სხვადასხვა ინფრასტრუქტურული პროექტების განსახორციელებლად 2024 წელში საკუთარი საბიუჯეტო სახსრებით აღებული ვალდებულებების დასაფარავად 2025 წლის პირველი იანვრისათვის საკუთარი საბიუჯეტო სახსრების ნაშთებიდან გადმოტანილი იქნას 200 920 ლარი, მ. შ. გზების კაპიტალური მშენებლობის ხარჯებში 21 274 ლარი; გზების მიმდინარე შეკეთების ხარჯებში 23 906 ლარი (საქ.მთავრობის N1025 განკარგულების თანადაფინანსება). მრავალბინიანი სახლების

რეაბილიტაციაზე 116 138 ლარი; სკვერების რეაბილიტაციაზე 38 902 ლარი ; ხიდების რეაბილიტაციაზე 700 ლარი.

13. მუნიციპალიტეტის ა(ა)იპ-ებს 2025 წლის ბიუჯეტში დამატებით ესაჭიროებათ 247 700 ლარი. მ. შ.

-ა(ა)პ სპორტის ცენტრის 2025 წლის 13/01 N1 მომართვის თანახმად (დან. N2) 18 700 ლარი, სპორტული ინვენტარის შესაძენად, რადგან 2024 წელს აღნიშნულ შესყიდვაზე შედგა ტენდერი და ხაზინის დახურვის გამო ვერ მოხერხდა საკასო ხარჯის გაწევა.

- ა(ა)იპ ე. კიკნაძის სახელობის სკოლამდელი დაწესებულების გაერთიანებას 2025 წლის 13/01 N 01 მომართვის თანახმად (დან. N3) 217 000 ლარი, მ. შ. 125 ლარიანი ხელფასების ზრდა თითოეულ თანამშრომელზე 149 000 ლარი; (2025 წლის ბიუჯეტის დამტკიცების დროს გათვალისწინებული იყო შრომის ანაზღაურების მხოლოდ 10% -იანი ზრდა) და 2025 წლის იანვრის თვეში გასაცემი პრემია 68 000 ლარი (2024 წლის დეკემბერში ვერ მოხერხდა ბაღის თანამშრომლებზე პრემიის გაცემა)

-სსიპ ბორის საჯარო სკოლა (ინტერნატს) 2024 წლის 13/01 # MES1250000004988 მომართვის თანახმად (დან. N4) 6 000 ლარი პრემიის გასაცემად;

-ა(ა)იპ მოსწავლეთა სახლს 2024 წლის 13/01 N 2 (დან. N 5) მომართვის თანახმად 6 000 ლარი პრემიის გასაცემად.

ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე,

გზების კაპიტალური შეკეთების ხარჯები იზრდება 7 290 208,43 ლარით, მ. შ. 7 268 934,43 ლარით სახელმწიფო ფონდების (6 119 072 ახალი განკ. და 1 149 862,43 ლარი ფონდების ნაშთი) და 21 274 ლარით 2025 წლის პირველი იანვრისათვის არსებული მუნიციპალიტეტის საკუთარი საბიუჯეტო სახსრების ნაშთის ხარჯზე.

გზების მიმდინარე შეკეთების ხარჯები იზრდება 54 885,55 ლარით. მ.შ. 30 979,55 ლარით სახელმწიფო ფონდების ნაშთის და 23 906 ლარით საკუთარი სახსრების ნაშთის ხარჯზე.

ხიდების, ხიდბოგირების რეაბილიტაციის ხარჯები იზრდება 166 351 ლარით. მ. შ. 165 651 ლარით სახელმწიფო ფონდების ნაშთის და 700 ლარი საკუთარი სახსრების ნაშთის ხარჯზე .

მრავალბინიანი სახლების რეაბილტაციის ხარჯები იზრდება 156 412 ლარით, მ.შ. 40 274 ლარი სახელმწიფო ფონდების ნაშთის და 116 138 ლარი 2025 წლის პირველი იანვრისათვის არსებული მუნიციპალიტეტის საკუთარი საბიუჯეტო სახსრების ნაშთის ხარჯზე .

სოფლის მხარდამჭერი პროგრამა იზრდება 38 661,38 ლარით წინა წლის სახელმწიფო ფონდების ნაშთიდან.

კეთილმოწყობის ობიექტების რეაბილიტაციის ხარჯები (სკვერების რეაბილიტაცია) იზრდება 38 902 ლარით 2025 წლის პირველი იანვრისათვის არსებული მუნიციპალიტეტის საკუთარი საბიუჯეტო სახსრების ნაშთის ხარჯზე.

სულ :

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტის შემოსულობები 19 767 300 ლარი იზრდება 6 119 072 ლარით, სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი კაპიტალური ტრანსფერის ხარჯზე და ამ ეტაპზე განისაზღვრება 25 886 372 ლარით.

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტის გადასახდელები 20 282 600 ლარი იზრდება 7 993 120 ლარით და განისაზღვრება 28 275 720 ლარით.

გადასახდელების ზრდის წყაროა: სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი კაპიტალური ტრანსფერი 6 119 072 ლარი, 2025 წლის პირველი იანვრის მდგომარეობით ხარაგაულის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში არსებული სახელმწიფო ფონდების სახსრების ნაშთი 1 425 428 ლარი და მუნიციპალიტეტის საკუთარი საბიუჯეტო სახსრების ნაშთი 448 620 ლარი;

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის თვითმმართველი ერთეულის 2025 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 17 დეკემბრის N 25 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ

1. მოგახსენებთ, რომ მიდინარე წლის 15 იანვარს ხარაგაულის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტში საკრებულოს N1 დადგენილებით განხორციელებული საბიუჯეტო ცვლილების შემდეგ, საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის 69-ე მუხლის შესაბამისად მუნიციპალიტეტის მერის ბრძანებით რამდენჯერმე განხორციელდა საბიუჯეტო ცვლილება, მათ

შორის მოხდა 2025 წლის ბიუჯეტის შემოსულობებისა და გადასახდელების გაზრდაც, რომლის შესახებაც დაუყოვნებლივ ეცნობა საკრებულოს. მათ შორის: საქართველოს მთავრობის 2025 წლის 24 იანვრის N 146 განკარგულებით გამოყოფილი მიზნობრივი ტრანსფერი საჯარო სკოლების მოსწავლეთა ტრანსპორტირების დელეგირებული უფლებამოსილების განსახორციელებლად, გაიზარდა 1 106 760 ლარით;

ასევე, 2025 წლის 15 იანვარს სსიპ ლ. საყვარელიძის სახ. დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანდაცვის ეროვნული ცენტრის მომართვის თანახმად საქართველოს მთავრობის 2024 წლის 30 დეკემბრის N 474 დადგენილებით ხარაგაულის მუნიციპალიტეტის 2025 წლის მიზნობრივი ტრანსფერის ზღვრული ოდენობა საზოგადოებრივი ჯანდაცვის დელეგირებული უფლებამოსილების განსახორციელებლად გაიზარდა 12 600 ლარით;

2. საქართველოს მთავრობის 2025 წლის 30 იანვრის N 186 განკარგულებით სტიქიური მოვლენების შედეგების სალიკვიდაციო ღონისძიებების განხორციელების მიზნით საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან ხარაგაულის მუნიციპალიტეტს გამოეყო 1 120 000 ლარი (დან. N1)

3. საქართველოს მთავრობის 2025 წლის 16 იანვრის N 53 განკარგულებით ხარაგაულის მუნიციპალიტეტს საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან სოფლის მხარდამჭერი პროგრამის ფარგლებში გამოეყო 890 000 ლარი. (დან. N2)

4. მუნიციპალიტეტების ა(ა)იპ-ების მიერ წარმოდგენილი მომართვებისა და მერიის გადაწყვეტილების შესაბამისად შრომის ანაზღაურების 125 ლარიანი მატების გამო დამატებით ესაჭიროებათ 965 675 ლარი, რომლის შესავსებად გამოყენებული იქნას 2025 წლის პირველი იანვრისათვის არსებული საკუთარი საბიუჯეტო სახსრების ნაშთი.(დან. N3) 125 ლარიანი მატება ძალაში შევა 2025 წლის პირველი თებერვლიდან.

5. მერიის ინფრასტრუქტურისა და კეთილმოწყობის სამსახურის 2025 წლის 24/01 N 03-682 5002 420 მომართვის თანახმად,(დან. N4) მერიის შენობის პირველ სართულზე კანცელარიის კაბინეტის მოსაწყობად საჭიროა 52 177 ლარი, აღნიშნულის შესავსებად ასევე გამოყენებული იქნას 2025 წლის პირველი იანვრისათვის არსებული საკუთარი საბიუჯეტო სახსრების ნაშთი

ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე,

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტის შემოსულობები 25 886 372 იზრდება 3 129 360 ლარით, მ.შ. სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი კაპიტალური ტრანსფერის ხარჯზე 2 010 000 ლარით; მიზნობრივი ტრანსფერით 1 119 360 ლარით და განისაზღვრება 29 015 732 ლარით.

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტის გადასახდელები 28 275 720 ლარი იზრდება 4 147 212 ლარით, მ.შ. სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი კაპიტალური ტრანსფერის ხარჯზე 2 010 000 ლარით; მიზნობრივი ტრანსფერით 1 119 360 ლარით; მუნიციპალიტეტის

საკუთარი საბიუჯეტო სახსრების ნაშთიდან 1 017 852 ლარით და განისაზღვრება 32 422 932 ლარით.

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის თვითმმართველი ერთეულის 2025 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს2024 წლის 17 დეკემბრის N 25 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ

1. მოგახსენებთ, რომ მიდინარე წლის 10 თებერვალს ხარაგაულის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტში მუნიციპალიტეტის საკრებულოს N6 დადგენილებით განხორციელებული საბიუჯეტო ცვლილების შემდეგ, საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის 69-ე მუხლის შესაბამისად, მუნიციპალიტეტის მერის ბრძანებით რამდენჯერმე განხორციელდა საბიუჯეტო ცვლილება, მათ შორის მოხდა 2025 წლის ბიუჯეტის შემოსულობებისა და გადასახდელების გაზრდაც, რომლის შესახებაც დაუყოვნებლივ ეცნობა საკრებულოს. მათ შორის: მუნიციპალიტეტის მერის მიმდინარე წლის 25 მარტის N ბ68.682 508 4001 ბრძანებით საქართველოს მთავრობის 2025 წლის 21/03 N 517 განკარგულებით მაღალმთიანი დასახლებების განვითარების ფონდიდან **278 800** ლარის გამოყოფის შესახებ; 14/05 N ბ68.682 513 412 ბრძანებით საქართველოს მთავრობის 2024 წლის 31/12 N 1955 განკარგულებით გამოყოფილი სახსრების **34 595** ლარით გაზრდის შესახებ; მიმდინარე წლის 11/06 N ბ68.682 516 22 ბრძანებით ევროკავშირის მიერ გამოყოფილი გრანტის **57 395** ლარის დაუყოვნებლივი ასახვისა და საქართველოს მთავრობის 2025 წლის 13 მაისის N 783 განკარგულებით 2021 წლის N 419 განკარგულების ნაშთის **3 489** ლარის გამოყენების ნებართვის შესახებ. გარდა აღნიშნულისა განვლილ პერიოდში მუნიციპალიტეტის მერის ბრძანებით განხორციელდა ცვლილებები ერთი პრიორიტეტის

ფარგლებში პროგრამებს და ქვეპროგრამებს შორის, ასევე კვარტლებსა და ეკონომიკური კლასიფიკაციის მუხლებს შორის, ასევე მოხდა სსიპ ბორის საჯარო სკოლა-პანსიონის სუბსიდირებიდან საგრანტო დაფინანსებაზე გადასვლა.

2. მიმდინარე 2025 საბიუჯეტო წლის დასასრულებლად ამ ეტაპზე მუნიციპალიტეტს სხვადასხვა ინფრასტრუქტურული, კულტურულ-საგანმანათლებლო და სოციალური პროექტებისათვის დამატებით ესაჭიროება 2 379 220 ლარი, მათ შორის:
3. სარეზერვო ფონდის შესავსებად დამატებით საჭიროა 50 000 ლარი, ვინაიდან მუნიციპალიტეტში განვითარებული სტიქიური მოვლენებისა და სხვადასხვა სოციალური პროგრამების დასაფინანსებლად უკვე გამოყენებულია 73 108 ლარი და დაგეგმილი 120 000 ლარიდან დარჩენილია მხოლოდ 46 892 ლარი.
4. საგზაო ინფრასტრუქტურის განვითარების ხარჯებში დამატებით საჭიროა 970 000 ლარი, მათ შორის გზების კაპიტალური მშენებლობაზე 580 000 ლარი; მიმდინარე შეკეთებაზე 280 000 ლარი; საზოგადოებრივი ტრანსპორტით მომსახურეობაზე 40 000 ლარი; ხიდების და ხიდ ბოგირების მშენებლობა-რეაბილიტაციაზე 70 000 ლარი.
5. პარკებისა და სკვერების მოწყობა-რეაბილიტაცია ინვენტარით აღჭურვაზე -150 000 ლარი;
6. სოფლის მხარდამჭერი პროგრამის თანადაფინანსებისათვის 50 000 ლარი;
7. ა(ა)იპ ,,დასუფთავებისა და კეთილმოწყობის გაერთიანებას, მის მიერ განსახორციელებელ სამ საბიუჯეტო პროგრამაზე დამატებით ესაჭიროება 190 000 ლარი. (დან. N 1) მათ შორის: დასუფთავებისა და ნარჩენების გატანა 03 01 პროგრამული კოდი - 140 000 ლარი. აქედან, 40 000 ლარი მანქანების მიმდინარე რემონტისათვის პრეისკურანტით ელექტრონული ტენდერის გამოსაცხადებლად; სხვა დანარჩენ საქონელსა და მომსახურეობის ხარჯებში 50 000 ლარი, რადგან,

განვლილ პერიოდში მომხდარი სტიქიის შედეგად დაზიანებული გზებისა და დამეწყრილი ადგილების გასაწმენდად უკვე ამოწურულია ფულადი რესურსები.გარე განათების ქსელის ექსპლუატაცია 02 03 01პროგრამული კოდი - 40 000 ლარი. მათ შორის გაზრდილი გარე განათების ქსელის მიერ მოხმარებული საფასურის დასაფინანსებლად 25 000 ლარი და სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურების ხარჯებში (მასალები, სხვადასხვა საქონელი და ინვენტარი) 15 000 ლარი. მწვანე ნარგავების მოვლა-პატრონობა 03 02 პროგრამულ კოდი -10 000 ლარი მარადმწვანე დეკორატიული მცენარეების შესაძენად.

8. კულტურის და სპორტის პრიორიტეტში 194 220 ლარი; მ. შ. ა(ა)იპ სპორტის ცენტრის ხარჯებში 29 220 ლარი; (დან.N 2). სპორტული მოედნების მოწყობაზე და რეაბილიტაციაზე 130 000 ლარი; ა(ა)იპ კულტურის, ხელოვნებისა და ტურიზმის ცენტრის სუბსიდირებაზე 25 000 ლარი (დან. N 3) და ა(ა)იპ მოქალაქეთა ჩართულობისა და ინფორმირების ცენტრის სუბსიდირებაზე 10 000 ლარი. (დან. N 4)
9. სოციალური პროგრამების ხარჯებში დამატებით საჭიროა 775 000 ლარი. (მათ შორის: სამკურნალო და საოპერაციო ხარჯებით დახმარებაზე - 180 000 ლარი; შშმ პირთა დახმარებაზე - 15 000 ლარი; ერთჯერად დახმარებაზე - 300 000 ლარი; ლეიკემიით დაავადებულთა და დიალიზზე მყოფი პაციენტების ყოველთვიურ დახმარებაზე -13 000 ლარი; მრავალშვილიანი ოჯახების დახმარებაზე 18 000 ლარი; ხანდაზმულთა 5 000 დახმარებაზე ლარი; სადღესასწაულო დღეების დახმარებაზე 140 000 ლარი; სტიქიური მოვლენების შედეგად დაზარალებული და/ან მძიმე საცხოვრებელი პირობების მქონე ოჯახების დახმარება, უსახლკაროთა და ძალადობის მსხვერპლთა ბინის ქირით უზრუნველყოფის ქვეპროგრამაში 40 000 ლარი; უფასო სასადილოს სუბსიდირებაზე-10 000 ლარი; გადაუდებელი რეაგირების დახმარებაზე 20 000 ლარი; ომისა და სამხედრო ძალების

ვეტერანთა დახმარებაზე -4 000 ლარი არასრულწლოვანთა დახმარებაზე - 30 000 ლარი; (დან. N 5; დან. N6)

10. მიმდინარე წლის 23 ივნისის სახელმწიფო ხაზინის ამონაწერებით ხარაგაულის მუნიციპალიტეტს საერთაშორისო ორგანიზაციებიდან (UNDP-გაერთიანებული ერების ორგანიზაციის განვითარების პროგრამა) მიღებული გრანტის თანხა შეუმცირდა 2 800 ლარით 52 თეთრით, რაც ნიშნავს რომ შესაბამისად მცირდება მერიის ხარჯებში არაფინანსური აქტივების ზრდის ხარჯები, რომელიც მიმართულია მერიის შენობაში ,,ერთი ფანჯრის" პრინციპით მოქალაქეთა მომსახურების ცენტრის მოსაწყობად. შესაბამისი სამუშაოები უკვე დასრულებულია მუნიციპალიტეტის მერიასა და ევროკავშირს შორის მიმდინარე წლის 21 მაისს გაფორმებული ხელშეკრულების პირობების გათვალისწინებით და ფაქტიურად გაწეულმა ხარჯმა 57 394 ლარი და 70 თეთრის ნაცვლად შეადგინა 54 594 ლარი და 18 თეთრი. (დან. N 7)

ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე,

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტის შემოსულობები 29 015 732 ლარი გაიზარდა 337 989 ლარით, მ.შ. სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი 313 395 ლარის კაპიტალური ტრანსფერით; ევროკავშირიდან მიღებული 54 594 ლარის გრანტით და განისაზღვრა 29 383 721 ლარით.

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტის გადასახდელები 32 422 932 ლარი იზრდება 2 750 698 ლარით, მ.შ. სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი 313 395 ლარის კაპიტალური ტრანსფერით; ევროკავშირიდან მიღებული 54 594 ლარის გრანტით; მუნიციპალიტეტის საკუთარი საბიუჯეტო სახსრების ნაშთიდან 2 379 220 ლარით; სახელმწიფო ბიუჯეტის სახსრების ნაშთიდან 3 489 ლარით და განისაზღვრება 35 173 630 ლარით.

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის თვითმმართველი ერთეულის 2025 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს2024 წლის 17 დეკემბრის N 25 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ

1. საქართველოს მთავრობის 2025 წლის 09 ივლისის N1098 განკარგულების, (დან. N 1) საქართველოს განათლების, მეცნიერების, ახალგაზრდობის სამინისტროსა და ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერიას შორის 2025 წლის 11 ივლისის ,,საჯარო სკოლების მცირე ინფრასტრუქტურული სამუშაოების (მშენებლობის/ რეაბილიტაციის/ აღჭურვის) განხორციელების უფლებამოსილების დელეგირების შესახებ გაფორმებული ხელშეკრულების თანახმად,(დან. N2) ხარაგაულის მუნიციპალიტეტის ექვსი საჯარო სკოლის რეაბილიტაციისათვის, ინფრასტრუქტურისა და კეთილმოწყობის სამსახურის მიერ წარმოდგენილი მომართვისა და ცხრილის შესაბამისად (დან. N3) (დან. N4) საჭიროა **393 975** ლარი, რომელიც მუნიციპალიტეტს გამოეყოფა სახელმწიფო ბიუჯეტიდან მიზნობრივი ტრანსფერის სახით. ამ ეტაპზე მოხდება სსიპ სოფელ ხიდრის საჯარო სკოლის სახურავის რეაბილიტაცია და კარ-ფანჯრების შეცვლა; სსიპ სოფელ კიცხის საჯარო სკოლის სახურავის რეაბილიტაცია; სსიპ სოფელ ზვარის საჯარო სკოლაში მოხდება გათბობის სისტემის რეაბილიტაცია და სპორტული დარბაზის მოწყობა; სსიპ ბორითის საჯარო სკოლაში ცენტრალური გათბობის, საქვაბე მეურნეობის მოწყობა, ღობისა და ჭიშკრის მოწესრიგება; სსიპ ვახანის საჯარო სკოლის სპორტული დარბაზისა და მოედნის რეაბილიტაცია; სსიპ სოფელ ხუნევის საჯარო სკოლის ელექტროგაყვანილობის სრული განახლება და შიგა და გარე კოსმეტიკური რემონტი.

2. **საქართველოს მთავრობის 2025 წლის 30 ივლისის N 1212 განკარგულებით** (დან.N5) ცვლილება შევიდა საქართველოს მთავრობის 2024 წლის N1955 განკარგულებაში და საქართველოს რეგიონებში

განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან ხარაგაულის მუნიციპალიტეტს გზების რეაბილიტაციისათვის დამატებით გამოეყო **498 976** ლარი, (მათ შორის მერიის ინფრასტრუქტურის სამსახურის მიერ წარმოდგენილი ცხრილის მიხედვით (დან. N6) დამატებით საჭიროა 506 993 ლარი, თუმცა საქ. მთ. 2025 წლის 24 ივლისის N 1174 განკარგულებით (დან. N7) შეტანილი ცვლილებით N 1955 განკარგულება უკვე შემცირებული არის 8 018 ლარით დაბა ხარაგაულში საუბნო გზის რეაბილიტაციის ხარჯებში). საბოლოოდ, აღნიშნული განკარგულებით ამ ეტაპზე სულ გამოყოფილი იქნება 6 652 643 ლარი. ემატება ხუთი ახალი პროექტი, მათ შორის: სოფელ უბისის საუბნო გზის რეაბილიტაცია 100 000 ლარი; სოფელ მარელისის საუბნო გზის რეაბილიტაცია (მეორე ეტაპი) 150 000 ლარი; ღორეშა-მარიამწყაროს გზის რეაბილიატაცია 100 000 ლარი; სოფელ ქროლში საუბნო გზის რეაბილიტაცია 52 331 ლარი; სოფელ წიფში საუბნო გზის რეაბილიტაცია 52 331; სოფელ თეთრაწყაროში საუბნო გზის რეაბილიტაცია 52 332 ლარი. ყველა აღნიშნული პროექტი არის გარდამავალი და საბოლოოდ დასრულდება 2026 წელს.

3. მუნიციპალიტეტის სოფლებში ტრენაჟორების მოსაწყობად სპორტული ობიექტების რეაბილიტაცია, მშენებლობა და ინვენტარით აღჭურვა პროგრამაში საჭიროა დამატებით 150 000 ლარი. აღნიშნული სახსრების უზრუნველსაყოფად პრიორიტეტებს შორის საჭიროა მოხდეს ცვლილება და ინფრასტრუქტურის განვითარების პრიორიტეტის გზების კაპიტალური შეკეთების ხარჯებიდან 150 000 ლარის გადმოტანა კულტურა, ახალგაზრდობა, სპორტის პრიორიტეტის სპორტული ობიექტების რეაბილიტაცია, მშენებლობა და ინვენტარით აღჭურვა პროგრამაში.

4. **საქართველოს მთავრობის 2025 წლის 30 ივლისის N1207 განკარგულებით**(დან.N8) და ინფრასტრუქტურისა და კეთილმოწყობის სამსახურის მომართვის თანახმად (დან.N9) ,,მოქალაქეთა ჩართულობის

განვითარების ხელშეწყობის“ მიზნით საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან ხარაგაულის მუნიციპალიტეტს გამოეყო **222 610** ლარი, მათ შორის: 117 386 ლარი გზების მიმდინარე შეკეთების ხარჯებში; 3581 ლარი ხიდებისა და ხიდ ბოგირების რეაბილიტაციის ხარჯებში; 38 525 ლარი სასმელი წყლით უზრუნველყოფის ხარჯებში; 2 503 ლარი სანიაღვრე სისტემის მოწყობის ხარჯებში; 31 619 ლარი კეთილმოწყობის ობიექტების რეაბილიტაციის ხარჯებში (სკვერების მოწყობა) და 28 995 ლარი სპორტული ობიექტების რეაბილიტაცია, მშენებლობა და აღჭურვის ხარჯებში (ტრენაჟორების შეძენა); ამასთან თითოეული პროექტის თანადაფინანსება შესაბამისი პროგრამების მიხედვით მუნიციპალიტეტის საკუთარი საბიუჯეტო სახსრებით შეადგენს 157 884 ლარს.(დან. N 10)

5. საქართველოს მთავრობის 2025 წლის 31 ივლისის N 1214 განკარგულებით (დან. N11) საჯარო ფინანსების მართვის რეფორმის სტრატეგიის ფარგლებში საერთაშორისო პარტნიორებთან თანამშრომლობით დაგეგმილი რეფორმების ფინანსური მხარდაჭერის ასიგნებიდან, საქართველოს ფინანსთა სამინისტრომ ხარაგაულის მუნიციპალიტეტს, 2024 წელს განსაზღვრული ზოგადი პირობებისა და სამიზნე მაჩვენებლების შესრულებისათვის, გამოუყო კაპიტალური გრანტი 300 000 ათასი ლარის ოდენობით, რომელიც მოხმარდება მუნიციპალიტეტის საგზაო ინფრასტრუქტურის განვითარებას.

ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე,

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტის შემოსულობები 29 383 721 ლარი იზრდება 1 415 561 ლარით, მ.შ. სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი 721 586 ლარის კაპიტალური ტრანსფერით; სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი 393 975 ლარის მიზნობრივი ტრანსფერით, 0საერთაშორისო პარტნიორებთან თანამშრომლობით დაგეგმილი რეფორმების ფინანსური მხარდაჭერის

ასიგნებიდან 300 000 ლარის კაპიტალური გრანტით და განისაზღვრება 30 799 282 ლარით.

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტის გადასახდელები 35 173 630 ლარი ასევე იზრდება 1 415 561 ლარით, მ.შ. სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი 721 586 ლარის კაპიტალური ტრანსფერით; სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი 393 975 ლარის მიზნობრივი ტრანსფერით, საერთაშორისო პარტნიორებთან თანამშრომლობით დაგეგმილი რეფორმების ფინანსური მხარდაჭერის ასიგნებიდან 300 000 ლარის კაპიტალური გრანტით და განისაზღვრება 36 589 191 ლარი.

2025 წელში წარმატებით გრძელდება მერიის ინიციატივით სამოქალაქო ბიუჯეტის პროგრამა. კვლავ ხორციელდება მოქალაქეთა ჩართულობით შექმნილი და მოწონებული პროექტები.

მიუხედავად ძირითადი საბიუჯეტო პარამეტრების დადებიტად შეფასებისა საფინანსო-საბიუჯეტო კომისიამ მხარი არ დაუჭირა ბიუჯეტში წარმოდგენილ მთელ რიგ პარამეტრებს. ბიუჯეტის ცალკეული პარამეტრების კორეტირების მიზნით,კომისიის მიერ გამოთქმულ იქნა შედეგი შენიშვნები და მოსაზრებები:

ინფორმაცია 09/12 2024 წელი.
ხარაგაულის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტის პროექტის შესახებ დოკუმენტის გადამუშავებულ ვარიანტზე
ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის (საკრებულოს წევრების და ფარქციების) რეკომენდაციების გათვალისწინების შესაძლებლობის შესახებ

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისია		
	კომისიის შეფასებით 2025 წლის ბიუჯეტის პროექტში მაქსიმალურადაა გათვალისწინებული მოსალოდნელი შემოსულობების ოდენობა, ასევე დადებითად ფასდება მომავალი წლის პრირიტეტები. ამასთან, კომისიას მიაჩნია,რომ ზოგიერთ საბიუჯეტო პროგრამაზე საჭიროა დაფინანსების გაზრდა, კერძოდ:	მუნიციპალიტეტის მერიას მიზანშეწონილად მიაჩნია მოსახლეობის ინტერესების გათვალისწინებით საკრებულოს მიერ წარმოდგენილი შენიშვნებისა და რეკომენდაციების მაქსიმალურად გათვალისწინება 2025 წლისათვის მოსალოდნელი ფინანსური რესურსების გათვალისწინებით.
1	მარტოხელა უსახლკაროთათვის, სენდვიჩ კონტეინერების შესაძენად ბიუჯეტის პროექტში გათვალისწინებული იქნეს თანხა 30 000 ლარის ოდენობით. (სველი წერტილებით, მინიმუმ 3 ცალი)	აღნიშნულ შენიშვნასთან დაკავშირებით გაცნობებთ რომ უსახლკარო და ძალადობის მსხვერპლთა საცხოვრებელი ბინით უზრუნველყოფისათვის 2025 წლის ბიუჯეტის პროექტით სოციალური დაცვის პროგრამაში ,,06 03 17 - პროგრამულ კოდზე“ გათვალისწინებულია დაფინანსება 150,0 ათასი ლარის გაზრდა 30,0 ათასი ლარით. სულ ამ პროგრამით დაფინანსება განისაზღვრება 180,0 ათასი ლარით.
2	ბიუჯეტის პროექტით გათვალისწინებული სოფლის მხარდამჭერი პროგრამის თანადაფინანსების თანხა 163 000 ლარი გაიზარდოს 40 000 ლარით.	2025 წლის სოფლის მხარდამჭერი პროგრამის თანადაფინანსება 163,0 ათასი ლარი გაიზრდება 37,0 ათასი ლარით და გახდება 200,4 ათასი ლარი;
3	ბიუჯეტის პროექტში გათვალისწინებული ერთჯერადი ფინანსური დახმარება 850 000 ლარი გაიზარდოს 100 000 ლარით.	ერთჯერადი ფინანსური დახმარების პროგრამა იზრდება 150,0 ათასი ლარით და განისაზღვრება 1000,0 ათ. ლარით;
4	ბიუჯეტის პროექტში მარტოხელა მშობლების დახმარება 19 000 ლარი გაიზარდოს 5 000 ლარით.	მარტოხელა მშობლების დახმარება 19,0 ათასი ლარი იზრდება 5,0 ათასი ლარით და განისაზღვრება 24,0 ათასი ლარით;
5	ბიუჯეტის პროექტში მრვალაბინიანი სახლების რეაბილიტაციისათვის თანადაფინანსება გათვალისწინებული 60 000 ლარი გაიზარდოს 40 000 ლარით.	მრავალბინიანი სახლების რეაბილიტაციისათვის თანადაფინანსება იზრდება 40,0 ათასი ლარით და განისაზღვრება 100,0 ათასი ლარით.
ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისია		
1	პირველად საქართველოს მასშტაბით შეგვიძლია განვახორციელოთ საზოგადოებრივი ჯანდაცვის მუნიციპალური ცენტრის ორგანიზებით უნიკალური პროექტი ჩვენი მოსახლეობისათვის, რაც მოიცავს ექვსი დაავადების ერთდროულ კვლევას, რომელთაგან ოთხი მიეკუთნება ვირუსულ გადამდებ დაავადებებს: (აივ ინფექცია, ც და ბ ჰეპატიტიები და ტუბერკულოზი) ორი კი მიეკუთნება ჩვენი საზოგადოებისთის ერთ-ერთ განსაკუთრებულ მაღალ რისკის მქონე დაავადებებს: (დიაბეტი, ჰიპერტენზია და შარდმჟავის განსაზღვრა სისხლში, როგორც ერთ-ერთი რისკ ფაქტორის შესწავლა).	ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისიის მიერ წარმოდგენილ რეკომენდაციებთან დაკავშირებით გადაწყვეტილება მიიღება დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის მიერ ხარაგაულის მუნიციპალიტეტისათვის 2025 წლის კუთვნილი მიზნობრივი ტრანსფერის გამოყოფის შემდეგ. საკითხი ჯერჯერობით არ არის გადაწყვეტილი, რადგან აღნიშნული მიეკუთვნება დელეგირებულ უფლებამოსილებას. მიმდინარეობს კონსულტაციები.

	აღნიშნული პროექტის განსახორციელებლად ტესტ სისტემები გადამდები ვირუსული ინფექციების საწინააღმდეგო ტესტირებისათვის გადაეცემათ დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრისაგან, მუნიციპალური დაფინანსებით დასჭირდებათ თანადაფინანსება გლუკომეტრის და შარდმჟავის განმსაზღვრელი ტესტის ხარჯების, რისთვისაც საჭიროა ბიუჯეტის პროექტში გათვალისწინებული იქნეს მაქსიმუმ 1000 ლარი.	
2	ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის კვლევებზე დაყრდნობით, ბოლო პერიოდში ოთხჯერ არის გაზრდილი დიაბეტის შემთხვევები ბავშვებში. ასევე მნიშვნელოვნად მომატებულია მხედველობის დარღვევები ბავშვებსა და მოზარდებში. აღნიშნულიდან გამომდინარე ვთვლით, რომ მნიშვნელოვანი იქნება სკრინინგ კვლევების ჩატარება, ენდოკრინული დარღვევებისა და მხედველობის პათოლოგიების გამოვლენის მიზნით. პროექტის განსახორციელებლად საჭიროა ბიუჯეტის პროექტში გათვალისწინებული იქნეს 3000 ლარი, რომელიც მოხმარდება, TSH, FT4, FT3, ლაბორატორიულ კვლევებს და ენდოკრინოლოგის და ოფთალმოლოგის მოწვევას. საზოგადოებრივი ჯანდაცვის მუნიციპალური ცენტრის მიერ მოხდება შესყიდვა აღნიშნული მომსახურეობის.	
	საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და ინფრასტრუქტურის საკითხთა კომისია	
1	ბიუჯეტის პროექტში წყლის სისტემის რეაბილიტაციისთვის გათვალისწინებულ 200 000 ლარი გაიზარდოს 30 000 ლარით.	წყლის სისტემის რეაბილიტაციისთვის გათვალისწინებულ 200,0 ათასი ლარი იზრდება 30,0 ათასი ლარით და განისაზღვრება 230,0 ათასი ლარი.
2	ბიუჯეტის პროექტში გარე განათებისათვის გათვალისწინებულ 352 000 ლარი გაიზარდოს 30 000 ლარით.	გარე განათების ხარჯები გაიზრდება 50,0 ათასი ლარით და გახდება 402,0 ათასი ლარი;
3	ბიუჯეტის პროექტში ნაგვის კონტეინერების შესაძენად გათვალისწინებულ თანხა გაიზარდოს 50 000 ლარით.	საკრებულოსათვის წარმოდგენილ ბიუჯეტის პროექტში ნაგვის კონტეინერების შესაძენად უკვე არის გათვალისწინებული 50,0 ათასი ლარი, რომელსაც კიდევ დაემატება 50,0 ათასი ლარი და კონტეინერების შესაძენი თანხა 2025 წლის ბიუჯეტით განისაზღვრება 100,0 ათასი ლარით, სულ „დასუფთავება ნარჩენების გატანა“ ქვეპროგრამა განისაზღვრება 1941,4 ათასი ლარით,

4	ბიუჯეტის პროექტში რელიგიის დაფინანსებისათვის გათვალისწინებული 60 000 ლარი გაიზარდოს 20 000 ლარით.	რელიგიის დაფინანსების გაზრდა მოხდება 20,0 ათასი ლარით და განისაზღვრება 80,0 ათასი ლარით
საკრებულოს განათლების კულტურისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისია		
1	ხარაგაულის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტში ახალგაზრდობის მხარდაჭერისათვის გათვალისწინებულია 20 000 ლარი. წარმატებულ პირველკურსელთა წახალისებისათვის გაიზარდოს თანხა 10 000 ლარით. აღნიშნული მოტივაციას გააჩენს და ხელს შეუწყობს ახალგაზრდების ჩართულობას.	ახალგაზრდობის მხარდამჭერი პროგრამა გაიზრდება 10,0 ათასი ლარით, და გახდება 30,0 ათასი ლარი. (წარმოსადგენია პროექტი გრანტის მფლობელი სტუდენტების დაჯილდოების ახალ წესზე)
საკრებულოს წევრი- ეკატერინე შველიძე		
1	ხარაგაულის თეატრის საიუბილეო თარიღთან დაკავშირებით მიზანშეწონილად მიმაჩნია დაიბეჭდოს ბუკლეტები, სადაც წარმოჩნდება თეატრის მრავალწლოვანი ისტორია. აღნიშნულისათვის ბიუჯეტში გათვალისწინებული იქნეს 5 000 ლარი.	ხარაგაულის თეატრის საიუბილეო თარიღთან დაკავშირებით ბუკლეტების დასაბეჭდად საჭირო ხარჯები გათვალისწინებული იქნება ა(ა)იპ კულტურის, ხელოვნების და ტურიზმის განვითარების ცენტრის 2025 წლის ბიუჯეტში.
საკრებულოს წევრი - ინგა მაღრაძე (პარტია ლელო საქართველოსთვის წევრი		
3	პირველ რიგში წარმოდგენილი ბიუჯეტი მიუხედავად გაზრდილი ციფრებისა და პარამეტრებისა ვერ იძლევა დადებითი მოლოდინების შესაძლებლობას. ვინაიდან საბიუჯეტო პროგრამებით გათვალისწინებული ხარჯები ვერ ახდენს დადებით გავლენას ადგილობრივ ეკონომიკაზე და მიმართულია სოციალური ბიუჯეტის ზრდაზე. ამასთან ჩემი სუბიექტური მოსაზრებით თავად საბიუჯეტო დაგეგმვის, შემუშავების და განხილვის პროცესში ძალიან დაბალია მოქალაქეთა ჩართულობა რაც რიგი გარემოებების შედეგია. მაგ: ბიუჯეტის საჯარო განხილვას ქონდა ფორმალური სახე. საკრებულოს წევრების და მუნიციპალური აიპების ხელმძღვანელების საჯარო განხილვებში ჩართულობის გარეშე, თუ არ ჩავთვლით რამოდენიმე აიპის ბუღალტრის და თანამშრომლის საჯარო განხილვაზე დასწრებას. ეს ფაქტორები კი თავშივე აჩენს ადგილობრივი თვითმმართველობის საქმიანობის მიმართ არასაიმედო მოლოდინებს. რაც შეეხება ფინანსების მუხლებს შორის გადანაწილებას , ვფიქრობ წყალმომარაგების პრობლემის აღმოსაფხვრელად რომელიც სამწუხაროდ მუნიციპალიტეტის სოფლებში ჯერ კიდევ მწვავედ დგას უფრო მეტი ფინანსების მობილიზებაა საჭირო და ამასთან ერთად პრობლემის ეფექტურად გადაჭრის ხედვაც. ამ საკითხის მოწესრიგება თანამედროვე პირობებში შესაძლებელიცაა და მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკურ სარგებლიანობაზე პირდაპირ აისახება. სამოქალაქო ბიუჯეტირების პროგრამამ აჩვენა რომ სოფლის მოსახლეობას ეს პრობლემა მეტად აწუხებს .ამასთან ერთად სოფლებში გაჩნდა ინიციატივები ახალგაზრდული და საბავშვო სივრცეების კეთილმოწყობაზე. კარგი ქნებოდა ადგილობრივ ბიუჯეტში გაგვეთვალისწინებინა მინიმუმ იმ პროექტების განხორციელება რაც მიმდინარე წლის სამოქალაქო ბიუჯეტირების პროგრამაში ვერ მოხვდა. ამასთან გამარჯვებული იდეების შერჩევის ფორმა მაინც და მაინც სამართლიანად არ მიიჩნევა.	აღსანიშნავია, რომ მუნიციპალიტეტში უკვე მესამე წელია რაც მონაწილეობითი ბიუჯეტის პროგრამა ხორციელდება, რომელიც ნამდვილად მიიჩნევა ჩვენი მუნიციპალიტეტის ერთ-ერთ წარმატებულ პროექტად. პროექტი სრულიად გამჭვირვალე და ხელმისაწვდომია ხარაგაულში მცხოვრები მოქალაქეთათვის და ჩართულობაც შესაბამისად ყოველთვის მაღალია, პროექტების პირველადი გადარჩევის დროს ყურადღება ექცევა მხოლოდ პროექტისათვის საჭირო რეკვიზიტების სისწორეს (პროექტის განსახორციელებელი ადგილისათვის საჭირო მიწის ნაკვეთის ადგილმდებარეობას (საკუთრების ფორმას); პროექტის ღირებულებას) ამის შემდეგ სპეციალური პროგრამით, რომელსაც ახორციელებს არასამთავრობო ორგანიზაცია ,,GIZ”-ი ქვეყნდება მუნიციპალიტეტის ვებგვერდზე. ხდება ხმების მიცემა და ავტომატურად გამარჯვებულად ითვლება ყველა ის პროექტი, რომელიც ყველაზე მეტ ხმას მოაგროვებს. მიგვაჩნია, რომ გამარჯვებულების გამოვლენის აღნიშნული წესი სამართლიანია. ამასთანავე, მოქალაქეთა ჩართულობის ბიუჯეტი არის მზარდი და 150,0 ათასი ლარიდან უკვე 210,0 ათასი ლარით განისაზღვრება. რაც შეეხება წყალმომარაგების საკითხს, დაბაში როგორც ცნობილია უკვე განხორციელებულია და უზრუნველყოფილია 24 საათიანი წყალმომარაგება. ასევე ,მომავალ 2025 წელს კვლავ იზრდება სასმელი წყლის სისტემების მოსაწყობი ხარჯების ოდენობა , რომელიც ყოველწლიურად არის მზარდი. ამ ეტაპზე საკუთარი საბიუჯეტო სახსრებით იგეგმება სასმელი წყლის უზრუნველსაყოფად 200,0 ათასი ლარის ბიუჯეტი. ასევე მოქალაქეთა ჩართულობის მონაწილეები ხშირად ითხოვენ სოფლებში ტრენაჟორებისა და სხვადასხვა საბავშვო ატრაქციონების მოწყობას, რის გამოც დამატებით შესაბამის პროგრამებში (სპ. ობიექტების რეაბილიტაცია, კეთილმოწყობის ობიექტების რეაბილიტაცია) დაგეგმილი

	მოქალაქეთა ჩართულობის, ხელმისაწვდომი გარემოს შექმნის და ადგილობრივი თვითმმართველობის საქმიანობის ეფექტიანად წარმართვას ხელს შეუწყობდა ადმინისტრაციული შენობის სათანადოდ ადაპტირება და სათათბირო, სამუშაო სივრცის მოწესრიგება. ამ მიზნისთვის შესაძლებელია გამოვიყენეთ ბუნდოვანი ფუნქციების მატარებელი აიპის ''მოქალაქეთა ჩართულობის და ინფორმირების ცენტრის "ყოველწლიური სუბსიდია. სანაცვლოდ მოქალაქეთა ჩართულობის უფრო ქმედითი მექანიზმების ამოქმედება. ძალიან ბევრ პრობლემას ვერ პასუხობს წარმოდგენილი ფისკალური დოკუმენტი. რადგანაც, მიუხედავად ბოლო წლებში განხორციელებული მნიშვნელოვანი ინფრასტრუქტურული პროექტებისა ჩვენ გვაქვს რეალობა რომ მუნიციპალიტეტში მაღალია მიგრაცია, საგრძნობლად შემცირებულია ბავშვთა რაოდენობა, ახალგაზრდებისთვის არ არის საცხოვრებლად მიმზიდველი გარემო. ამ გამოწვევების აღმოფხვრას კი სჭირდება პირველ რიგში არა პერსონალური პოლიტიკური განწყობებით და ინტერესებით მიდგომა გადაწყვეტილებების მიმღები პირებისგან არამედ საერთო, საჯარო ინტერესების სასარგებლოდ გადაწყვეტა და მოქმედება.	დაფინანსებები იზრდება 100,0 ათასი ლარით. აქედან 50,0 ათასი ლარი სპორტული ობიექტების რეაბილიტაციის ხარჯებში და 50,0 ათასი ლარი კეთილმოწყობის ობიექტების მოწყობა რეაბილიტაციის ხარჯებში.
საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო"		
	ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერის სარეზერვო ფონდი არის 100 000 ლარი, გაიზარდოს 50 000 ლარით.	სარეზერვო ფონდის გაზრდა შესაძლებელია 20,0 ათასი ლარით და განისაზღვრება 120,0 ათასი ლარი. მერიის ინიციატივით იზრდება გზების მიმდინარე შეკეთების ხარჯები 100,0 ათასი ლარით.
	სულ	სულ საკრებულოდან მიღებული რეკომენდაციებისა და მერიის ახალი ინიციატივების გათვალისწინებით შესაძლებელია 2025 წლის ბიუჯეტის შემოსულობებისა და ხარჯების გაზრდა 692,0 თასი ლარით. (წყაროდ გამოყენებული იქნას საქართველოს ფინანსთა სამინისტროდან მიღებული გაზრდილი პარამეტრები)

საკრებულოს საფინანო - საბიუჯეტო კომისიამ განიხილა 2025 წლის პირველი კვარტლის ბიუჯეტის შესრულება, ასევე ექვსი თვის ბიუჯეტის

შესრულება და თანმიმდევრულად ჩამოაყალიბა შედეგები თავის დასკვნაში.

საფინანსო-საბიუჯეტო კომისიამ განიხილა და კომისიის წევრებთა იმსჯელა თვითმართველი ერთეულის ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ 2024 წელს სახელმწიფო შესყიდვების შესახებ გაწეული საქმიანობის ანგარიშზე.
კომისიამ იმსჯელა და დაწვრილებით თავისი კომპეტენციის ფარგლებში განიხილა ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერიის შიდა აუდიტის მონიტორინგის სამსხურის ანგარიში.
კომისიამ იმსჯელა თავისი კომპეტენციის ფარგლებში ხარაგაულის მუნიციპალიტეტის ა(ა)იპ ,,სპორტის ცენტრის 2024-2025 წლის გაწეული მუშაობის ანგარიშზე.

საანგარიშო პერიოდში კომისია არ დაჭირვებია და არ მოუწევია ექსპერტები და სპეციალისტები.

საფინანსო საბიუჯეტო კომისიამ მერიის წარმომადგენლებთან ერთად იმსჯელა, გაანალიზა და შეაფასა, რა თქმა უნდა, გადატანითი მნიშვნელობით ყველა ბიუჯეტის განხილვის საკითხზე არსებული შენიშვნები და პასუხები, რაც თან ერთვის საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის ანგარიშს.

საფინანსო-საბიუჯეტო კომისიაში უმრავლესობასთან ერთად კონსტრუქციულად მონაწილეობენ კომისიის ოპოზიციონერი წევრები მათი ჩართულობა კომისიის მიმდინარე მოვლენებში მნიშვნელოვანია.

კომისიის წევრებს, რა თქმა უნდა, გაგვაჩნია განსახვავებული პოზიციები, გვიწევს კამათი, მაგრამ არასოდეს გამხდარა კომისიის საქმიანობისა და გადაწყვეტილებების ხელშემშლელი გარემოება.

კომისიის წევრები ვესწრებოდით მუნიციპალიტეტის სოფლებში გამართულ შეხვედრებს, სადაც მოსახლეობის გადაწყვეტილებით შეირჩა პრიორიტეტები და გადანაწილდა შესაბამისი დაფინანსებები სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლები.

კომისია სამუშაო გეგმის მიხედვით წლის ბოლომდე განახორციელე თავისი კომპეტენციის ფარგლებში საქმიანობას, რათა უფრო მრავალმხრივი და ეფექტური გახდეს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის მუშაობა.

საფინანსო-საბიუჯეტო კომისიამ მერიის წარმომადგენლებთან ერთად იმსჯელა გაანალიზა და შეაფასა რა თქმა უნდა გადატანითი მნიშვნელობით ყველა ბიუჯეტის განხილვის საკითხზე არსებული შენიშვნები და პასუხები რაც თან ერთვის საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის ანგარიშს.

კომისიაში უმრავლესობასთან ერთად საფინანსო-საბიუჯეტო კონსტრუქციულად მონაწილეობენ კომისიის ოპოზიციონერი წევრები მათი ჩართულობა კომისიაში მიმდინარე მოვლენებში მნიშვნელოვანია.

კომისია სამუშაო გეგმის მიხედვით წლის ბოლომდე კვლავ განახორციელებს თავის კომპეტენციის ფარგლებში საქმიანობას. რათა უფრო მრავალმხრივი და ეფექტური გახდეს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის მუშაობა.

კომისია აქტიურად ტანამშრომლობს საკრებულოს ფრაქციებთან და საკრებულოს სხვა კომისიებთან. ჩავატარეთ რამდენიმე ერთობლივი სხდომები.

საკრებულოს აპარატი სათანადოდ აგვარებს კომისიის ორგანიზაციულ-ტექნიკურ საკითხებს.

არასოდეს ჩაშლილა დაგეგმილის კომისიის სხდომა ქვორუმის არ არსებობის გამო.

საფინანსო- საბიუჯეტო კომისია დროულად რეაგირებს საკრებულოსა და საკრებულოს ბიუროს მიერ მიღებულ გადაწყვეტილებებზე.

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის

თავმჯდომარე

პავლე კიკალიშვილი